თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ო ქ მ ი №15

დ. თიანეთი **2010 წლის 3 სექტემბერი**

ესწრებოდნენ:
სხდომის თავმჯდომარე: გივი წიკლაური - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის მდივანი: ხალიანა არჩემაშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი

საკრებულოს წევრები: ნუგზარ ყურშავიშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

აგრეთვე: გიმზერ გოჯიაშვილი, გოჩა ჯანგირაშვილი, ზაზა ბადურაშვილი, იაგო შარაზადიშვილი, მერაბ ძებნიაური, ზურაბ დავითაშვილი, იოსებ ფილაური, ზვიად ჯაბანიშვილი, დავით ჭინჭარაული,
მერაბ ქეშიკაშვილი, თეიმურაზ ცოცხალაშვილი,ზურა ბექაური,თამაზ პატარაშვილი,ირაკლი დიდებაშვილი

ინგა ჭყრუნიშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

დღის წესრიგი

1. თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღებისა და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: თეიმურაზ ცოცხალაშვილი)

2. თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ზაზა დოჯურიშვილის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის „თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ''.

(მომხსენებელი: თეიმურაზ ცოცხალაშვილი)

3. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის # 40 დადგენილებაში თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი: თეიმურაზ ცოცხალაშვილი)

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურუდიული პირის - კულტურის დაწესებულებების გაერთიანების (კულტურის ცენტრი) ხელმძღვანელის ე. ივანაურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის ექვსი თვის გაწეული მუშაობის მოსმენა - შეფასების შესახებ.

(მომხსენებელი: გოჩა ჯანგირაშვილი)

მოისმინეს:1. თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღებისა და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: თეიმურაზ ცოცხალაშვილი)

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ ყურშავიშვილმა, გოჩა ჯანგირაშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,მ'' ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-6, მე-12^1 და მე-13 მუხლების, ,,სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. შემოღებულ იქნეს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემდეგი ადგილობრივი მოსაკრებლები:

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს: 2 თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ზაზა დოჯურიშვილის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ''.

(მომხსენებელი: თეიმურაზ ცოცხალაშვილი)

აზრი გამოთქვეს: მერაბ ქეშიკაშვილმა, იაგო შარაზადიშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 3. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში (თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ) ცვლილებების შეტანის თაობაზე

(მომხსენებელი: თეიმურაზ ცოცხალაშვილი)

აზრი გამოთქვეს: თეიმურაზ ცოცხალაშვილმა, იოსებ ფილაურმა

კენჭისყრის შედეგად

„ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 ივლისის №989 განკარგულების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს:4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურუდიული პირის - კულტურის დაწესებულებების გაერთიანების (კულტურის ცენტრი) ხელმძღვანელის ე. ივანაურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის ექვსი თვის გაწეული მუშაობის მოსმენა - შეფასების შესახებ.

(მომხსენებელი: გოჩა ჯანგირაშვილი)

აზრი გამოთქვეს: გიმზერ გოჯიაშვილმა, ირკალი დიდებაშვილი

ღია კენჭისყრის შედეგად

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის „მ“ქვეპუნქტის თანახმად,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

(განკარგულება თან ერთვის)

საკრებულოს თავმჯდომარე გ. წიკლაური